ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა

და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის

სხდომის ოქმი

N3

19.12.2025 წელი **ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი N2**

10:30 საათი **ბიუროს სხდომათა დარბაზი**

მიმდინარე წლის 19 დეკემბერს, 10:30 საათზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ორი კომისიის გაერთიანებული სხდომა გაიმართა.

სხდომას ესწრებოდნენ ამავე საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის წევრები: **შალვა სუთიაშვილი** (კომისიის თავმჯდომარე), **ალექსანდრე მუკათარიძე** (კომისიის წევრი), **დავით ხაბეიშვილი** (კომისიის წევრი), **მამუკა ხაბარელი** (კომისიის წევრი), **ვაჟა კოკაია** (კომისიის წევრი), **შალვა მაისურაძე** (კომისიის წევრი), **დავით ჭელიძე** (კომისიის წევრი), **შალვა პერანიძე** (კომისიის წევრი) და **დავით ფანჯაკიძე** (კომისიის წევრი).

სხდომას ასევე ესწრებოდნენ: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი **გაიოზ თალაკვაძე,** მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე **ლევან მიქავა**, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრები და აპარატის თანამშრომლები.

სხდომის უფლებამოსილება განისაზღვრა სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის 9 (ცხრა) წევრის დასწრებით.

სხდომის დღის წესრიგი:

1. **„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 24 დეკემბრის №49-97 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ"** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (საფუძველი, წერილი #12-032535142-03, 17.12.2025წ.).
   მომხსენებელი - გაიოზ თალაკვაძე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი.
2. **„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის N2-1 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის 23-ე მუხლის შესაბამისად,** თბილისის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის განსაზღვრა.
   მომხსენებელი - შალვა სუთიაშვილი, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე.

სხდომა წარიმართა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს **სატრანსპორტო საკითხთა კომისიასთან** ერთად.

კომისიების გაერთიანებულ სხდომას უძღვებოდა სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე **შალვა სუთიაშვილი.**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის წევრთა მიერ მოწონებულ იქნა და ერთხმად დამტკიცდა სხდომის დღის წესრიგი.

მოისმინეს

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტში განსახორციელებელი ცვლილებების შესახებ ინფორმაცია, კომისიას, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსმა წარუდგინა.

გაიოზ თალაკვაძე - მოგესალმებით, წარმოგიდგენთ 2025 წლის ბიუჯეტის ბოლო ცვლილების პროექტს, რომელიც განპირობებულია ძირითადად ეკონომიების ხარჯზე. ცვლილების თანახმად თანხები ემატება ისეთ მიმართულებებს, სადაც გვქონდა დეფიციტი წლის განმავლობაში, აღნიშნულიდან გამომდინარე იზრდება: სანიაღვრე ქსელის მოვლა-პატრონობა (კოდი 02 06) – 380,0 ათასი ლარით; გარე განათების ქსელის ექსპლუატაცია (კოდი 02 05) პროგრამის ასიგნებები - 855,0 ათასი ლარით, დასუფთავების ღონისძიებები, მათ შორის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება - 5 965,5 ათასი ლარით; სარეზერვო ფონდი (10 22) – 300,0 ათასი ლარით; სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხელშეწყობა (კოდი 07 01 02) – 2 400,0 ათასი ლარით; ლაბორატორიული კვლევები და სხვა ღონისძიებები (კოდი 02 03 02) – 120,0 ათასი ლარით. განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მიმართულებას ჯამში ემატება 1 837,0 ათასი ლარი, რაც გადანაწილებულია სხვადასხვა ღონისძიებებზე, მუნიციპალურ ა(ა)იპ-ებზე და თეატრებზე, აქედან ძირითადი თანხები მოხმარდება ახალგაზრდული პროექტების მხარდაჭერას 468,0 ათასი ლარი, ხოლო სპორტულ ღონისძიებებს 500,0 ათასი ლარი. ჯანდაცვის მიმართულებას ჯამში ემატება 481,0 ათასი ლარი, რაც მოხმარდება დეფიციტური პროგრამების შევსებას, სხვა სოციალური დახმარების ღონისძიებებს 1 850,0 ათასი ლარი, დანარჩენი სახსრები კი გახლავთ ეკონომიების შედეგად მორჩენილი თანხების გადანაწილება. რაც შეეხება გამგეობებს, აქაც გახლავთ გარკვეული ეკონომიები, როგორც აუთვისებელი სახსრები, რომელიც ძირითადად გადანაწილებულია გამგეობების შიდა პროგრამებზე. ეს გახლავთ მთლიანობაში ბიუჯეტის ბოლო ცვლილების შესახებ ძირითადი ინფორმაცია.

სხდომა კითხვა პასუხის რეჟიმში წარიმართა, მომხსენებელმა დასმულ კითხვებს ამომწურავი პასუხი გასცა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 24 დეკემბრის №49-97 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

მომხრე – შალვა სუთიაშვილი, ალექსანდრე მუკათარიძე, დავით ხაბეიშვილი, მამუკა ხაბარელი, ვაჟა კოკაია, შალვა მაისურაძე, დავით ჭელიძე, შალვა პერანიძე (8) ,

წინააღმდეგი - (0),

თავი შეიკავა - დავით ფანჯაკიძე (1).

ქ. თბილისის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიამ ხმათა უმრავლესობით გადაწყვიტა:

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 24 დეკემბრის №49-97 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი გატანილ იქნეს საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს

შალვა სუთიაშვილი - მოგესალმებით, რაც შეეხება დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეორე საკითხს, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის განსაზღვრის შესახებ, წარმოგიდგენთ ჩვენი კომისიის წევრის ალექსანდრე მუკათარიძის კანდიდატურას. ალექსანდრეს აქვს მრავალწლიანი გამოცდილება ახალგაზრდობის და სპორტის მიმართულებით მუშაობის. აღნიშნულის გათვალისწინებით გთხოვთ, მხარი დაუჭიროთ მის კანდიდატურას.

სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიამ ერთხმად მხარი დაუჭირა:

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის N2-1 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის 23-ე მუხლის შესაბამისად, თბილისის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლად ალექსანდრე მუკათარიძის განსაზღვის საკითხს.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე: შალვა სუთიაშვილი